№ 237

ხუთშაბათი, 4 ნოემბერი, 1899 წ.

1877—1899

№ 237

ხუთშაბათი, 4 ნოემბერი, 1899 წ.

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 4 ნოემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, **ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისა და ანასტასია აბაშიძის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება

I

## ბედნიერი დღე

კომ. 3 მოქმედ., თხზ. ოსტროვსკისა და სოლოვიოვისა.

II

მეორე მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდგან

## ხანუმა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ანასტ. აბაშიძე, ნემიერიძე; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, გედევანოვი, შათირიშვილი, აღამიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

**მზადდება ახალი პიესა გატ. ხოშტარიასი „სიცოცხლე და სიკვდილი“.**

## ქ. ქუთაისში
## კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
## სალომე ი. კერესელიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან სალამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—16)

## ქართველ ქალთა სამკერვალო

1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის მკერავი ქალი სამკერვალოსათვის.**

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

გამგეობა კახელ მევენახეთა საზოგადოებისა

მით აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ 26 ნოემბერს მდგომარე წელს დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება ქ. თელავში.

განსახილველია საგნები:

1, წლიური ანგარიშის და ხარჯთაღრიცხვის განხილვა;

2, მოხსენება შესახებ ვენახების სეტყვისაგან დაზღვევისა;

3, მოხსენება წესდების ზოგიერთა მუხლის შეცვლის შესახებ;

4, მოგების განაწილება, და

5, მიმდინარე საქმეები. (3—2)

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—22)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. საოპერაციო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—საოპერაციო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდისა—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი- მორიგებით.

გუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## ვექილი

(прис. повѣр.)

ილარიონ სვიმონის ძე

## ბახუტაშვილი

გადმოვიდა ტფილისში, რეუტის ქუჩა, № 20. (2—171—1)

## ე ქ ი მ ი
## კ. ს. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—68)

ტფილისი, 3 ნოემბერი

თვეზე მეტია, რაც სამხრეთ-აფრიკაში უწყალოდ იღვრება სისხლი. ძლიერმა და დიდმა ბრიტანიის იმპერიამ, გაამაყებულმა და თავგასულმა თვისის სიდიდითა და სიძლიერით, იძულებულ ჰყო სამხრეთ აფრიკის ორი მცირე რესპუბლიკა, ტრანსვაალი და ორანჟე, რომ იარაღი აესხათ და სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცველად ბრძოლის ველზედ გამოსულიყვნენ. ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკა გაწვრთნილის, ევროპიულად გაწყობილის ჯარით არ ებრძვის ინგლისს. თვით ერი, დიდიდგან დაწყებული პატარამდე, გამოვიდა ჯარში სამშობლოს დასაცველად, სწორედ ისე, როგორც ძველად ჩვენში ყოფილა, როდესაც მტერი შემოესეოდა ხოლმე ქვეყანას და ქუდზედ კაცი მიდიოდა მტრის მოსაგერებლად. სამშობლოს და დამოუკიდებლობის ტკბილმა სიყვარულმა ზღაპრული საგმირო ხასიათი მისცა ამ უმაგალითო და უთანასწორო შებრძოლებას. მცირე და ხალხით ნაკლები ორი რესპუბლიკა, ტრანსვაალი და ორანჟე, თავ-გამოდებით გაუმკლავდა ბუმბერაზ ინგლისს. უკვე თავი მოაფხანინა უკმეხსა და დაურიდებელს მტერსა და, ჯერ-ჯერობით, თითქოს ბედიც და ღვთის განგებაც სიმართლისათვის ამხედრებულ ბურებისაკენაა.

ინგლისს ეგონა, რომ ერთის მუშტის მოქნევით დედამიწასთან გავასწორებ ხეპრე და გაუთლელ ტრანსვაალისა და ორანჟეს ბურებსაო, ანკი როგორ გამიბედავს ეს პაწაწა ქვეყნები სიტყვა შემომიბრუნოს და მოწიწებით არ მოისმინოს და არ შეასრულოს ჩემი ნათქვამიო. მართლაც-და რა არის ტრანსვაალ ორანჟე შედარებით დიდ და თვალ-გადუწვდენელ ბრიტანიის იმპერიასთან? თითქმის არაფერი. ტრანსვაალი და ორანჟე სივრცით საფრანგეთის ტოლა ძლივს არის; რაოდენობა აქ დამკვიდრებულის ხალხისაც ძრიელ ცოტაა. ორსავ რესპუბლიკაში ითვლება სულ, ევროპიდან მისულნი და ადგილობრივი მკვიდრნი, 1,100,000. ამათ შორის ჰოლანდიელების ჩამომავალნი ბურები და დანარჩენი ევროპიელნი იქმნებიან ასე, ერთი მესამედი, ან 370,000 სული. აი ამ ერთი მუჭა ხალხმა გაჰბედა და ინგლისის სახელმწიფო კაცთა რიხიანსა და თავხედს მოთხოვნილებას—დავემორჩილდით და ისე განაგეთ თქვენი ქვეყნის საქმენი, როგორც ჩვენა გვსურსო,—რიხიანივე პასუხი მისცა, გავწყდებით და სამშობლოს არ დაგითმობთო. ერთის სიტყვით, სწორედ ისე, როგორცაა ნათქვამი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო“ და შეუტიეს საომრად გამზადებულს მტერს, იმის მიუხედავად, რომ მტერი ღონიერია, ძლიერი, მდიდარი, განათლებული და ვაჭკაცობითაც განთქმული.

უსამართლოდ გამოწვეულმა ომმა ბურებთან სახელი გაუტეხა ინგლისსა და ბევრის თვალში ზიზღიც-კი გამოიწვია. ინგლისის მტერნი და მოქიშპენი საპოლიტიკო და საეკონომიო ასპარეზზედ ხომ სიხარულით ფეხზედ აღარა სდგანან. თუ კი ჩომბახიან მწყემსმა ზურგზე ბოლი აადინესო, ევროპის ძლიერ სახელმწიფოსთან შეტაკების დროს რაღას იზამსო, გაიძახიან ინგლისის მოშურნენი. ბურებთან ბრძოლამ სავსებით გამოაშკარავა ინგლისის სისუსტე, მისი მხედრობის უვარგისობა და ამას შეძლება ბოლო მოუღოს მის ამაყობასა და თავხედობასო. რამდენად საფუძვლიანია ეს აზრი, ჩვენ ამის განხილვაში არ შევალთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ ბურების მამაცურმა, გმირულმა თავგანწირვამ სამშობლოს დასაცველად დიდი თანაგრძნობა გამოიწვია მათდა მიმართ მთელს ევროპაში. დღეს ყველას ბურები და მათი სახელმწიფო აკერია პირზედ. ვინც გაზეთს კითხულობს, არა გვგონია, არ იცოდეს, ვინაა მოხუცებული სამოცდა ათის წლის კრიუგერი, შტეინი, მხნე და შეუდარებელი სარდალნი ბურებისა: ჟუბერი, კრონიე, ლუკა მეიერი, შალკ-ბერგერი, ვეილბახი და სხვანი. სიცოცხლითა და მხნეობით სავსე სახე კრონიესი და ვეილბახისა სიამოვნების ჟრუანტელსა ჰგვრის ყველას, ვის თვალშიაც კი რაიმე ფასი აქვს სამშობლოს და მის თავისუფლებას. არავინ გვეგულება იმისთანა, ვინც, ბურების გამარჯვების ამბავს რომ წაიკითხავს, არ ინატრის გულში ჩუმად, რომ განგებამ შეძლება მისცეს ბურებსა პირნათლად გამოვიდნენ უთანასწორო ბრძოლიდგან. უხვადაც იჩენს ევროპა თანაგრძნობის ნიშნებსა. პატარა ჰოლანდიას ნუღარ იტყვით, რომელიც ბურების მიმართ თან სიყვარულისა და თან მწუხარების ჩაუქრობელ ცეცხლის ალში იწვის და იდაგვის, ყველგან, მთელს ევროპაში, აგროვებენ ფულსა ტრანსვაალში გასაგზავნად, ახალგაზრდობა ალტაცებით მიეშურება აფრიკისაკენ, რომ მამაც და ვაჟკაც სამშობლოს დამცველებთან ერთად სისხლი დაჰღვარონ წმინდა საქმისათვის. მოწყალების დანი და მკურნალნი მრავლად მიდიან აფრიკისკენვე ბურების დაჭრილ და დაშავებულ ჯარის კაცთა საშველად და დასახმარებლად. თვით აფრიკაში მცხოვრებნი ევროპიელნი, რომელთაც ბედმა ან

ბურების ქვეყანაში ცხოვრება არგუნა, ან მათ მეზობლად ყოფნა, ცალ-ცალკე რაზმებს ადგენენ და ბურებთან ერთად მხნედ იბრძვიან... ასე გასინჯეთ, ველურნიც-კი ბურების მხარეს იჭერენ ჯერ-ჯერობით და მტრობის მაგიერ დახმარებას უწევენ ბურებს.

მრავალნი გულ-წრფელად უსურვებთ ბურებს გამარჯვებასა და სამშობლოს დამოუკიდებლობის სავსებით შენახვას. თვით იმისთანა თავდაჭერილი და გამოცდილი მწერალი — პუბლიცისტიც, როგორიცაა ვ. გოლცევი, სიამოვნებით ჰნატრობს ინგლისის ზნეობრივ დამარცხებასა და ბურების გამარჯვებას. ინგლისის ახალშენთა მინისტრის ჩემბერლენის ანგარებით სავსე პოლიტიკამ მოთმინების ფიალა აავსო და რიგიანობის მომხრე ადამიანს ბოღმასა და სევდასა ჰგვრის. ზოგიერთმა ინგლისის სახელმწიფო მოღვაწემ იდეალად ის დაისახა, რომ მთელი აღმოსავლეთი აფრიკა ალექსანდრიიდგან დაწყებული კაპშტადტამდის ინგლისის სამფლობელო გახდესო და ამ იდეალის მისაღწევად არც ჩემბერლენი და არც მისი მზგავსნი ხერხსა და შრომას არა ზოგავენ. ვერც სიმართლე, ვერც პატიოსნება, ვერც ადგილობრივ მკვიდრთა სამართლიანი საჭიროებანი და მოთხოვნილებანი ვეღარ აჩერებს მადა გახსნილ საპოლიტიკო მოღვაწეთ, სულ ყველაფერს თავისკენ ითლიან და ჩასანთქავად იმზადებენ. ვაი იმას, ვინც ბურებივით მხნედ და მედგრად არ დაუხვდება ამ უზომო მადის პატრონთა. თვალის დახამხამებას ვერც კი მოასწრებს ნიშანში ამოღებული მსხვერპლი, რომ ვეშაპივით სრულად შთანთქავს, ან ისე გამოხრავს და გამოსწუწნის, რომ ცალიერი ძვლები-ღა დარჩება.

ღვთის წინაშე, ისიც კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ მარტო ჩემბერლენი არ არის ასეთი. ანგარებით შეფერილი პოლიტიკა სანუკვარია ევროპის ბევრის სხვა სახელმწიფო კაცისათვის. განსაკუთრებით ეს ულმობელი და თან უპატიოსნო პოლიტიკა იჩენს მთელს თვისს სიმკაცრეს, როცა საქმე ევროპის გარეშე მცხოვრებ ხალხს შეეხება, ევროპიელნი აფრიკას ისე მიეტივნენ, როგორც ბუზი თაფლსა, თითქმის ადგილი აღარ მოიძებნება შავ კონტინენტზედ, რომ ევროპიელნი არ ჩაბღაუჭებოდნენ. დღეს თუ ხვალ ეს სიხარბე და ანგარება, ეს მუდმივი ძებნა ახალ-ახალის ბაზრისა თვისის უთვალავის სამრეწველო საქონლის გასასაღებლად სასტიკად წაჰკიდებს ევროპის სახელმწიფოთ აფრიკის ველ-მინდვრებზედ. ინგლის-ბურების ომი პირველი მერცხალია ამ საშინელი მომავლისა.

რაღა თქმა უნდა, რომ ინგლისი დიდებული ქვეყანაა და ერთი უპირველესი ალაგთაგანი უჭირავს თვისის კულტურით, განათლებით, მეცნიერებით და სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარულით. ამისათვის თვით ინგლისში ბევრი აღმოჩნდა ისეთი, რომელთაც გაჰკიცხეს უსამართლოდ დაწყობილი ომი, მაგრამ ერის წარმომადგენელთა მომეტებულის ნაწილის გულზვიადობამ კეთილ-გონიერება გადალახა, არ შეისმინა ხმა პატიოსნებისა და ინგლისიც მიესია პატარა ერსა თავისუფლების ხელიდგან გამოსაგლეჯად. თავისუფლების მოპოვება ძვირად დაუჯდათ ბურებს, მთელი ორი საუკუნე იბრძოდნენ მის დასამკვიდრებლად. ნაკლები არც ინგლისელებს უშრომიათ თავისუფლებისათვის. სწორედ ამითია სამწუხარო და არა სასიამოვნო ინგლის-ბურების ომი, რომ თვალითა ვხედავთ, თუ როგორ თავისუფლების მოყვარე ერთი ერი უპატიოსნოდ და უმიზეზოდ წაედავა მეორესა დასაჩაგრავად და თავისუფლების მოსასპობად.

დღევანდელი საპოლიტიკო ვითარება ევროპისა ისეთია, რომ საკუთარს თავისუფლებას არავის გაალახვინებს, და ამავე დროს სიამოვნებით ჰმოუსპობს სხვას თავისუფლებასა, და თუ საჭიროება მოითხოვს, სამშობლო მიწა-წყალზედაც ხელს დაბანინებს.

ძნელად დასაჯერებელია, რომ ინგლისმა დაუთმოს და შეარჩინოს ბურებს, რაც აქამდე სირცხვილი აჭამა ამ პატარა, მაგრამ გულადმა ქვეყანამ; შესაძლებელია, რომ, დღეს თუ არა, ხვალ მაინც ინგლისმა თავისი გაიტანოს. ჩვენ მაინც იმას ვიტყვით, რომ ცუდად არ ჩაივლის ბურების განწირულება და სულის კვეთება.

ა. ფრონელი

## ახალი ამბავი

*** დღეს, 4 ნოემბერს, ქართულ თეატრში ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენა იქმნება გამართული. წარმოადგენენ სამ-მოქმედებიან კომედიას „ბედნიერი დღე“-ს და „ხანუმას“ მეორე მოქმედებას. მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის, ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ანას. აბაშიძე; ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი და სხვანი.

*** ტფილისის პოლიცმეისტერმა, შეიტყო-რა, რომ უსახელო საზოგადოებისა და ავჭალის ქუჩის ცხენის რკინის გზის მოსამსახურეთ ან სულ არა აქვთ პასპორტები ანუ ვადა-გასული პასპორტები აქვთ, რის შემწეობითაც ისინი ახერხებენ სამხედრო ბეგარის მოხდას გვერდი აუქციონო, ამის გამო წინადადება მისცა მე-10 ნაწილის ბოქაულს, შეამოწმეთ ცხენის რკინის გზის მოსამსახურეთა პასპორტები და შეიპყარით 17 დაბალი მსახური უსახელო საზოგადოებისა მოწმობის უქონლობის გამო. 2 ნოემბერს ამ ბოქაულმა შეიპყრო ცხენის რკ. გზაზედ ერთი მოსამსახურე, რომელსაც უნდოდა სამხედრო ბეგარის თავიდგან აშორება.

*** 2 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე თავადის ქალის წულუკიძის მოტაცების მონაწილეთაგანის თავ. ნიკ. ლორთქიფანიძისა, რომელსაც ისა ჰბრალდებოდა, რომ მან განიზრახა მოკვლა მოტაცების საქმის ერთ უმთავრეს მოწმის ნესტორ ჯალაგანიასი, რომელმაც ცხოველი მონაწილეობა მიიღო თავადის ქალის მოტაცებულთა დაჭერის საქმეში. ჯალაგანია და ლორთქიფანიძე დაჭრილ იქმნენ იმ ჩხუბის დროს, რომელიც მოხდა ერთის მხრით ჯალაგანიასა და მის მოკეთეთა, ხოლო მეორე მხრით თავ. ლორთქიფანიძესა და მის მოკეთეთა შორის. ქუთაისის ოლქის სასამართლომ ბრალდებული ნ. ლორთქიფანიძე დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ასტრახანის გუბერნიაში საცხოვრებლად გაგზავნა, ისე-კი, როცხრა თვის განმავლობაში დატუსაღებული იყოს. 2 ნოემბერს, სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი და ბრალდებულის სააპელაციო საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა.

*** გასულ ოქტომბერში ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის დაწესებულებათ შემოსვლიათ ტელეგრაფიდგან 39,852 მან. და 98 კ.

*** სამთო დეპარტამენტმა წინადადება მისცა კავკასიის სამთო სამართველოს, წარმოგვიდგინეთ დაწვრილებითი ცნობები კავკასიაში მარილის წარმოების განვითარებისა და აგრეთვე მომზადებულ მარილის რაოდენობის შესახებაო.

*** ტფილისის საგუბერნიო გამგეობის საამშენებლო განყოფილების სამუშაოთა მწარმოებელმა ინჟ. ანტონოვმა საჭიროდ სცნო, რომ ვიდრე წყალი მოდიდდებოდეს, გასწორდეს გორის ხიდთან გაკეთებული საგუბარი, რისთვისაც, ინჟენრის გამონაგარიშებით, საჭიროა 2,041 მან. და 86 კ.

*** 29 ნოემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში გაირჩევა ტფილისის სადგურზედ მატარებელთა შემდგენელის აზ. ივ. ბებურიშვილის საქმე, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ მან 1899 წ. 16 ივლისს დაუდევრობის გამო უწესოდ შეასრულა თავისი თანამდებობა და ამით გამოიწვია მუშის სადულაშვილის სიკვდილი, რომელსაც ხელ-ფეხი დაემსხვრა.

*** ამ დღეებში ფინანსთა სამინისტროში სხდომები მოხდება ბათუმში ნავთის ქალაქის მოწყობის შესახებ.

*** დიდუბის ზოგიერთ მცხოვრებთ სთხოვეს კავკასიის უმაღლეს მთავრობას, გააძლიერეთ პოლიციის ზედამხედველობა დიდუბეში და ამასთან გააუმჯობესეთ აქ ქუჩების განათებაო.

*** ამ ჟამად ტფილისში კავკ. სააბრეშუმო სადგურს გამოსაკვლევად მიუღია საფრანგეთიდგან 124,000 მისხალი აბრეშუმის თესლი. თესლის გამოკვლევა ერთის თვის შემდეგ დაიწყება.

*** როგორც ისმის, ნება-დართულ იქმნა მუშტაიდში სინათლო გზის გახსნა ღამეობითაც.

*** 15 ნოემბერს ყარსის რკინის გზაზედ კომისია გაემგზავრება, რომ ეს გზა ჩააბაროს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოსა.

*** ტფილისის მაზრის საგარეჯოს სოფლის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს სოფ. საგარეჯოში სამრეველო სკოლის დაარსების შესახებ. საზოგადოება ჰკისრულობს შეისყიდოს მღვდლის გულისაშვილისაგან სკოლის დასადგმელად 1 დესეტ. ადგილი და მოზიდოს სკოლისათვის თვისის ხარ-ურმით ხე-ტყე.

*** „ტფ. ფ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, რომ ამ ბოლო დროს იქ ძალიან გამრავლდნენ აბრეშუმის თესლის გამყიდველნი, რომელთაც აუარებელი თესლი თურმე შემოაქვთ ოსმალეთიდგან. ეს თესლი გამოუკვლეველი ყოფილა და მრავლად თურმე ისყიდება ფასების სიმცირის გამო.

*** დუშეთიდგან „ახ. მ.“-ს აუწყებენ, რომ წელს იქითკენ გვალვისა და სეტყვის გამო მოსავალი საშუალოზედ ნაკლები იყო. ფუთი პური ჰღირს 30 კაპ. შარშანდელზედ უფრო ძვირად, ქერი ფასობს 70 კაპ. ფუთი.

*** ამ ბოლოს დროს სოხუმში ძალიან გავრცელდა „კაფე-შანტანები“, რომლებიც გარყვნილის ქალებით არის სავსე. ეს სასტუმროები სწორედ რომ საშინელი მახეა ხალხისათვის, რომლის ერთად-ერთ გასართობ ადგილებად მხოლოდ ყავახანები და სასტუმროები გამხდარა სოხუმში. ვაი მისი ბრალი, ვინც „კაფე-შანტანის“ ახლოს გაივლის. წინ მიეგებება სასტუმროს მოსამსახური ტკბილ-მოუბარი და შეიპატიჟებს სტუმარს, დაჯდება თუ არა და დააპირებს რისიმე მოთხოვნას, მიუახლოვდება, ეგრეთ წოდებული „კაფე-შანტანის დირექტორი“, რომელსაც მოჰყავს ხელ-გამოღობილი ქალები და ეუბნება სტუმარს: „აი, ამ ქალებს ჰსურთ თქვენი გაცნობაო“. სტუმარიც, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით გაეცნობა და ისიც მოჰყვება ხოლმე უსირცხვილო ლოტინს: მე ამით გამიმასპინძლეო და მე ამითო, და მანამ არ მოეშვებიან, ვიდრე ყველა მის ფულებს, და ხშირად ნივთებსაც, თუ გააჩნია, არ დაატოვებინებენ.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და დაიკეტოს ეს სასტუმროები, რომლებსაც გარშემო პატიოსანი ოჯახები ახვევია.

## სოხუმის ქალაქის საბჭო

20 სექტემბერს იყო ჩვეულებრივი სხდომა სოხუმის საბჭოსი. ამ დღეს ბევრი ხალხი დაესწრო კრებას. ქალაქის მოურავმა პირველად წაიკითხა სოხუმის ნოქრების თხოვნა იმის შესახებ, რომ კვირაობით ვაჭრობა წირვის დაწყებამდე და წირვის გამოსვლიდამ ორ საათამდე იყოსო და დანარჩენს დროს თავისუფალნი ვიყვნეთო. დიდ უქმეებში კი მთელი დღე უთუოდ იყოს შეწყვეტილი ვაჭრობა.

ხმ. სახოკია. მე მგონია, რომ შესაძლოა დიდ უქმეებშიაც და კვირაობითაც შეწყვეტილ იყოს ვაჭრობა და თავისუფალი იყვნენ ნოქრები მთელს დღეს. ის აზრი, ვითომც სოფლელთ არ შეუძლიანთ საქმე დღეს მოცდენაო, უსაფუძვლოა. ეგრეც რომ იყოს, განა იმათთვის კი საჭირო არ არის უქმეებში დაისვენონ და ღმერთს ევედრონ?

ხმ. ჯულელი. თვით უფალმა ღმერთმა უბრძანა კაცს — ექვსი დღე იმუშავე და მეშვიდეს დაისვენეო, მგონია უკადრი პატიოსანი კაცის მოქმედობაა — არ დაარღვიოს ღვთის ბრძანება. საჭიროა, კვირა-უქმე დღეებში სრულიად თავისუფალნი იყვნენ ნოქრები.

ხმ. თ. გაბუნია. ის წესი შემოვიღოთ, რომელიც მახლობელ ქალაქებში არსებობს; დავკვეთხოთ ქუთაისს, ტფილისს და ბათუმს.

ქალ. მოურავი. მე მგონია, უკეთესი იქნება, რომ კომისია ავირჩიოთ, მოვიწვიოთ თვით ნოქრები და იმათთან ერთად გარდავწყვიტოთ ეს საქმე.

ხმ. სახოკია. მე არც კომისიის არჩევის თანახმა ვარ და არც სხვისის დაკითხვისა. ყველამ თავისი სინიდისი უნდა ამოძრავებდეს. დავკითხოთ, ბატონებო, ჩვენს სინიდისს და ისე გარდავწყვიტოთ.

კრებამ დაადგინა კვირაობით ვაჭრობა იქმნეს მხოლოდ დილიდგან წირვის დაწყებამდე და წირვის გამოსვლიდგან ორ საათამდე; დანარჩენ დროს კი თავისუფალი იყვნენ ნოქრები ორშაბათ დილამდე. სახელმწიფო და საეკლესიო უქმეებში-კი სრულიად შეწყვეტილ იქმნას ვაჭრობა. საქმე დღეებში ვაჭრობა დაიწყონ დილის ექვს საათზედ და შესწყვიტონ საღამოს ცხრა საათზედ.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ს. მამინოშვილის თხოვნა იმის შესახებ, რომ ჩემს ორს ქალს, რომლებიც სოხუმის პროგიმნაზიაში სწავლობენ, ქალაქის სტიპენდია დაენიშნოსო, და განცხადება პროგიმნაზიის უფროსისა, რომ მოსწავლე ქალებს — მაჰ. კინწურაშვილს და ეჟერონისას მაკვსკაიას არ შეუძლიათ სწავლის ფულით და შეიძლება საბჭომ სტიპენდია დაუნიშნოს მათო. საბჭომ ორივე თხოვნა შეიწყნარა.

ხმ. ჯულელი. კარგი იქმნებოდა, რომ მთიელთა სკოლის ზედამხედველსაც მიეცეს პროგიმნაზიის უფროსისათვის: უთუოდ, იქიდგანაც მრავალი ღარიბი მოსწავლე იქმნება გამორიცხული ფულის შეუტანლობის გამო.

ხმ. სახოკია. ხშირად მოხდება, რომ მდიდრის შვილებსაც არ შეაქვთ სწავლის ფული დაუდევრობის გამო. საჭიროა, ნამდვილად გაიგოს სიღარიბე იმ უმაწვილების მშობლებისა, რომელთაც განთავისუფლებთ სწავლის ფულის შეტანისაგან.

ქალაქის მოურავმა წაიკითხა პოლიცმეისტერის თხოვნა, რომ საბჭომ წლიურად სამასი მანეთი მიმღიოს ქრთამი საშობაო ზურობოდ.

ხმ. ეუდრი. სამართლიანად მიმაჩნია თხოვნა ბ-ნ პოლიცმეისტერისა, საჭიროდ ვცნობ ბოქაულებსაც დავნიშნოთ წლიურად ას-ასი მანეთი მაგ საგნისათვის. მხოლოდ ეს-კი სასურველი, რომ ეს ფული საქმეს მოხმარდეს, და არა მხოლოდ ჯამაგირის მომატებას შეადგენდეს.

ხმ. ჯულელი. მეც ისე მგონია, როგორც ხმოსნმა ეუდრმა განაცხადა, რომ ეს ფული მხოლოდ ჯამაგირის მომატება იქნება მათთვის და ამის თავიდგან ასაცდენად, ვგონებ, საუკეთესო იქნებოდა ქალაქს ეტლი შეეძინა და ამ ეტლით ესარგებლნა პოლიციას საჭიროების დროს.

ხმ. სახოკია. რადგან ყველა ქალაქს აქვს ამ საგნისათვის გადადებული ფული, სოხუმმაც უნდა გადაიდოს. ჩემის აზრით, უნდა გადაიდოს პოლიცმეისტერისათვის 360 მან. და ბოქაულებისათვის ას-ასი მანეთი წლიურად, როგორც, მაგალითად, ფოთში.

ხმ. აჯამოვი. დავუნიშნოთ პოლიცმეისტერს 300 მან. და ბოქაულებს ორას-ორასი წლიურად.

შემდეგ მცირე კამათისა, საბჭომ გარდასწყვიტა კენჭის ყრით დაენიშნოს პოლიცმეისტერს 300 მან. და ბოქაულებს ას-ასი საჭიროების დროს ეტლით სამგზავროდ.

ქალ. მოურავმა წაიკითხა ხმ. ეუდრის მოხსენება, რომელშიაც ეწერა, რომ ქალაქის თვით-მართველობამ გან

გაგვიმართლა იმედებით. სადღეისო გაიხედავთ, ყველგან საქმე კუს ნაბიჯით მიდის და ისიც-კი არ კეთდება, რაც უწინ კეთდებოდა, როდესაც ქალაქის საქმეებს პოლიცია განაგებდა.

ხმ. სახოკია. ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, გაქვთ უფლება ითავმჯდომარეოთ ამ შემთხვევაში, თუ არა?

ბერენსი. ქუდრას განცხადება იმას არა ჰნიშნავს, რომ მე სასჯელში ვიყო მიცემული.

სახოკია. მე ვგონებ, კანონი არ გაძლევთ ნებას.

ბერენსი ეძებს კანონის წიგნში და ცოტა ხნის შემდეგ ეუბნება გენერალ ლამაკინს: გსურთ მიიღოთ თავმჯდომარეობა?

გენ. ლამაკინი. მე მსურდა გამეგო, რას ამბობს კანონი, ანუ რომელი მუხლია.

ბერენსი. მე, მართალი მოგახსენოთ, არ ვიცი, რომელი მუხლია და ვერც მიპოვნია ეხლა. ამ დროს ვიღაც მსმენელთაგანმა გადმოსჩურჩულა — 120 მუხლიაო, რის შემდეგაც ბ-ნმა ბერენსმა იპოვნა ეს მუხლი და წაიკითხა, რომ ნება არა აქვთ გამგეობის წევრთ მონაწილეობა მიიღონ ამნაირ საქმის გარჩევაში. თავმჯდომარეობა მიიღო გენერალმა ლამაკინმა.

გენ. ლამაკინი. მე არა მაქვს წაკითხული მოხსენება ქუდრასი. საჭიროა წავიკითხო, მოვიფიქრო და მერე შევუდგე საქმის გარჩევას. გთხოვთ გადავსდოთ ეს საქმე და დღეს დანარჩენი საგნები დავასრულოთ.

ხმ. სახოკია. მე გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, ეხლავ შევუდგეთ ქუდრას განცხადების გარჩევას, რადგან ჯერი იმაზე მიდგა. რაც მოვასწროთ, მოვასწროთ დღესა, რაც არა და ხვალისათვის გადავსდოთ.

ხმ. ჯულელი. არც კანონი გვაძლევს ნებას გამოვტოვოთ რომელიმე საგანი და შემდეგზედ გადავიდეთ.

გენ. ლამაკინი. მაშ დავიწყოთ. (ქუდრას) თქვენი მოხსენება უნდა „პუნქტებად" დავყოთ და თვითეულს პუნქტზედ თქვენ უნდა საბუთი წამოაყენოთ. (კითხულობს) დღითი დღე ქალაქის საქმეები უკან მიდის. არავინ ჰფიქრობს ქუჩების შეკეთებას... (ქუდრას) რა საბუთი გაქვთ ამის დასამტკიცებლად? რას ეძახით თქვენ ქუჩების შეკეთებას?

ხმ. ქუდრა. რა საბუთი უნდა მქონდეს; ყველა ჰხედავს ქუჩების მდგომარეობას. ქუჩების შეკეთებას ვეძახით ქვიშის მოყრას, ჩაღრმავებულ ადგილის ამოვსებას და სხვა.

ხმ. სახოკია. თქვენო აღმატებულებავ! არ არის თქვენთვის საჭირო მდივანი? აირჩიეთ ვინმე.

გენ. ლამაკინი. ჰოდა, მე ვარ მდივანიც. (კითხულობს) ქალაქი უბადრუკს მდგომარეობაში იქნება ცეცხლის გაჩენის დროს, რადგან არ აქვს ხეირიანი საქრობი მანქანა... (ქუდრას) ამისი რა საბუთი გაქვთ?

ხმ. ქუდრა. ყველამ იცის, რომ არ მოგვეპოვება ცეცხლის საქრობი მანქანა.

სახოკია. ჩვენ თუ ეგრე მივყევით, ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. ჯერ პირველი „პუნქტის" შესახებ არაფერი განაჩენი დაუდგენია საბჭოს და შემდეგზედ გადადიხართ. აქ მარტო თქვენ და ქუდრა კამათობთ ერთმანეთში, ხანდახან მეც გამოვერევი და ამით თავდება საქმე. ნუ თუ სამი კაცი შეადგენს საბჭოს? გარდა ამისა, ოქმი არ იწერება, სიტყვები უმრავლესი იკარგება ჰაერში. ბოლოს, როცა გავარჩევთ მაგ მოხსენებას ამ რიგად, როგორც ეხლა მიდის საქმე, რა უნდა დავასკვნად? გთხოვთ, აირჩიოთ მდივანი, თორემ თქვენთვის უთუოდ შეუძლებელია მდივნობაც და თავმჯდომარეობაც.

გენ. ლამაკინი. მე აქ ვნიშნავ ქაღალდზედ და შემდეგ დავწერ ოქმს. მდივნად მე არავინა მყავს სახეში, რომ აგირჩიო. (განაგრძობს კითხვას) ათობით ხიდია დანგრეული და შეკეთებას საჭიროებენ. (ამ დროს მსმენელთა შორის გაისმის ხარხარი).

გენ. ლამაკინი. ვინც მანდ ხარხარებთ, გთხოვთ გაბძანდეთ გარეთ.

სახოკია. თქვენო აღმატებულებავ, როცა წაიკითხოთ რომელიმე პუნქტი მოხსენებისა, დაეკითხეთ საბჭოს, გაიგეთ აზრი ხმოსნებისა და შეიტანეთ ოქმში განაჩენი, თორე ეგრე ვერას გავხდებით.

გენ. ლამაკინი. ეს შეიძლება ეხლაც გასწორდეს. წაიკითხა ისევ თავიდამ მოხსენება. ხმოსნებს უთხრა, ვინც თანახმანი ხართ, რომ ქუჩები შეუკეთებელია ქალაქში, აჰდექით და ვინც არა, ადექით. არავინ არ ადგა.

შემდეგ წაიკითხა ისევ ხიდების შესახებ და შეეკითხა ქუდრას, რა საბუთი გაქვთ, რომ ხიდები არ არის შეკეთებულიო.

ქუდრა. მე ვერ ვიტყვი, რომ ყველა ხიდი შეუკეთებელი იყოს: არის შეკეთებული რამდენიმე ხიდი. მაგრამ ეს შეკეთება გამგეობის სურვილით-კი არ გამოიწვია, არამედ იმან, რომ გუბერნატორი რომ მობრძანდებოდა სოხუმში, იმ ქუჩებზედ უნდა გაევლო, სადაც ხიდები გაფუჭებული იყო. ეს გუბერნატორის მოსვლის წინა დღით შეამჩნიეს, და, რადგან მუშები ვერსად იშოვნეს, ჩემის მუშებით გავაკეთე მე თითონ.

სახოკია. მე ვიცი, რომ სამი მეოთხედი ხიდებისა შეუკეთებელია.

გენ. ლამაკინი. რამდენი ხანია, რაც პოლიციისაგან საქმეები მიიღო გამგეობამ?

ქუდრა. სამი თვე იქნება.

გენ. ლამაკინი. სამი თვე არამც თუ თვით მართველობის არსებობაში, ადამიანის სიცოცხლეშიაც არაფერს არ ნიშნავს. არ შეიძლებოდა, რამე თვალსაჩინო გაკეთებულიყო ასე ცოტა ხანს.

ქუდრა. არამც თუ გარეთ, აქაც, სადაც ჩვენ ვზივართ, ვერ ვუყურებ რისამე შესახებ მზრუნველობას, გამგეობა იმასაც კი არა სცდილა, რომ ერთი ქონის სანთელი მაინც დაენთო დერეფანში, რომ კისრები არ დაგვემტვრია ბნელაში.

გენ. ლამაკინი. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა თქვენ შენიშვნაზედ პატივსაცემი საბუთი ექნება გამგეობას, რომელსაც ის უსათუოდ წარმოადგენს.

სახოკია. თქვენ, როგორც სჩანს, აქ გამგეობის დაცვა იკისრეთ.

გენ. ლამაკინი. მე არც მიკისრია გამგეობის დაცვა და არც ნება მაქვს მაგისი. მე მხოლოდ ვთქვი, რომ გამგეობას უსათუოდ ექნება პატივ-საცემი საბუთები მეთქი.

ხმ. მეტაქსა. ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა კომისია აგვერჩია, რომელსაც უნდა დაევალოს ქუჩების დათვალიერება და ანუ სხვა, სად რა ნაკლულევანება არის, თორემ ჩვენ აქ ვსჯით და არ ვიცით კი რასა.

ჯულელი. ბ-ნი ქუდრა ისე მოქცეულა, როგორც კეთილ-სინიდისიერი ხმოსანი: თვალ-ყური უდევნებია ყველაფრისათვის, შეუმჩნევია, სად რა ნაკლულევანება აქვს ქალაქს და აუნუსხამს გამოსაქვეყნებლად. იმას ლაპარაკი, რომ უცოდინარად სჯა არ შეიძლებაო, მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ რომელმა ხმოსანმაც არ იცის, რა ხდება მის გარშემო, ის არ ასრულებს თავისს დანიშნულებას.

შემდეგ ხმები გაიყო. ზოგი იძახდა, კომისია ავირჩიოთო, ზოგიც იმას, რომ ამ კომისიის დამტკიცებას კიდევ თვეები უნდა ვუყუროთ ტყუილადო და არც არის საჭიროო.

გენ. ლამაკინი. ვისაც გსურთ აირჩეს კომისია, აჰდექით და ვისაც არა, ადექით. უმრავლესობამ არჩია ჯდომა, როგორც ყოველთვის. ამის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ახლა კრებას ვსპობ ხვალამდეო. დარბაზში შემოვიდნენ ისევ მოურავი და მისი თანაშემწე და დაიჭირეს თავიანთი ადგილები.

ქალ. მოურავი ბერენსი. გავათავოთ, ბატონებო, ბარემ რაც დარჩა. კითხულობს თხოვნებს იმ ხმოსნებისას, რომლებიც ხმოსნობისაგან განთავისუფლებას თხოულობდნენ. სულ ხუთ კაცს შემოეტანა თხოვნა. ბ-ნმა ბერენსმა წინადადება მისცა ხმოსნებს, შეიძლება გსურთ სთხოვოთ, რომ დარჩნენ ისევ ეს ხმოსნები, რომელნიც წასვლას აპირებენო. საბჭომ უარი განაცხადა და მათ მაგიერ დასახელებული იქმნა კანდიდატები. ამ დროს წამოდგა თვით გენერალი ლამაკინი, დაუკრა თავი ყველას და სთქვა, მეც აღარა მსურს აწი ხმოსნად დარჩენაო, და გავიდა. საბჭოს თავმჯდომარედ გენ. ლამაკინის მაგიერ საბჭომ აირჩია კერძო ვექილი ლევიცკი, რომელიც უკვე წარდგენილ იქმნა დასამტკიცებლად.

მექი.

## წერილი არგვეთიდგან.

ჩვენს საეკკლესიო სამრევლო სკოლებში მოსწავლეების რიცხვი უფრო მცირეა, ვიდრე სამინისტროს პირველ დაწყებითი სკოლებში. ამის მიზეზად ზოგიერთები იმას ასახელებენ, რომ ვითომც ჩვენს ხალხს საეკკლესიო სამრევლო სკოლები არ მოსწონდეს და არ უყვარდეს. მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენი სოფლის ხალხი, როგორც ათის წლის გამოცდილებამ დამანახვა, დარწმუნებულია, რომ რიგიანად მოწყობილი საეკკლესიო სამრევლო სკოლა უფრო სასარგებლოა ამისათვის, ვიდრე სამინისტროს პირველი დაწყებითი სასწავლებელი. სამრევლო სკოლის პირველ უპირატესობას ჩვენი სოფლის ხალხი იმაში ჰხედავს, რომ ეს სკოლები ყოველთვის ეკკლესიის მახლობლად არსებობს, მაშასადამე, ეკკლესიის მრევლისათვის უფრო ხელმისაწვდენია, ვიდრე სამინისტროს სკოლა, რომელიც ხშირად სხვა-და სხვა სოფლის, მაგრამ ერთის საზოგადოების, ხალხზედ რამდენისამე ვერსის მანძილით არის დაშორებული. მეორე უპირატესობა სამრევლო საეკკლესიო სკოლებისა ის არის, რომ ამ სკოლებში ბავშვის სწავლის ფული სამუდამო ხარჯად არ აწევს ხალხს, ე. ი. იმ დრომდე იხდის, ვიდრე შვილი სკოლაში ჰყავს, სამინისტროს სკოლებში-კი ასე არ არის. იქ გყავს შვილი, თუ არა, სულ ერთია: დაწესებული გარდასახადი მაინც მუდამ უნდა გარდიხადო. აქედამ აშკარად დავინახავთ, რომ ჩვენი ხალხი სამრევლო სკოლებს უფრო უნდა ეტანებოდეს. მაშ რა არის მიზეზი, რომ ეს ასე არ ხდება? აი რა:

არგვეთის ზოგიერთ სოფლის საეკკლესიო სამრევლო სკოლები ან სულ ისპობა და ან მოსწავლეები ნაკლები ჰყავს. მაგალითად, ტელეფის საეკკლესიო სამრევლო სკოლა, რომელიც თავისს სახლში ჰქონდა მოთავსებული იქაურს მღვდელს, აღარ არსებობს; თითქმის ასეთივე ბედი ეწევა რუფოთის სკოლას, რომელიც 1897 წლის მიწურულში დააარსა მღვდელმა ი. სალაძემ, ეს სკოლა ამ ორი სამი წლის განმავლობაში ხან ს. რუფოთში არსებობდა და ხან ტელეფაში; ხან ერთს სახლში ათავსებდნენ ამ ბედკრულ სკოლას და ხან მეორეში, ამის გამო საკვირველი არ არის, რომ ამ სკოლაში მოსწავლეების რიცხვი მცირეზედ მცირეა. სწორედ შვეცია-ნორვეგიის მოძრავ სკოლებს მოაგონებს კაცს რუფოთის საეკკლესიო სამრევლო სკოლა. იმედია, რომ რუფოთის წმიდის გიორგის ეკკლესიის ახალი მღვდელი მ. ბესარიონ გოგსაძე სამუდამო ბინას მოუპოვებს ამ სკოლას ს. რუფოთში.

ალისუბნის მეორე კლასიანი სამრევლო სკოლა, აგერ მესამე წელიწადია, რაც არსებობს, მაგრამ ჯერ კიდევ საზოგადო საცხოვრებელი ბინა მოსწავლეებისათვის არ არის გამართული. ამ სასწავლებელში სწავლა უნდა დაემთავრებინა რამდენსამე მოსწავლეს, მაგრამ, არ ვიცი რა მიზეზის გამო, მოსწავლეები ისევ იმავე კლასში სხედან. ნუ თუ შესაძლებელია, ყველა განყოფილებაში, ან კლასში, ორ-ორ წელიწადს დარჩეს მოსწავლე? რა მოსაზრებით სჩადიან ამას სამრევლო სკოლების გამგენი, სწორედ საინტერესოა შეიტყოს კაცმა. კარგი იქმნება, სამრევლო სკოლებში ისეთი დავთრები იქნებოდეს შემოღებული, რომ მოსწავლეების სკოლაში შემოსვლისა და გასვლის დრო დაჟამი ინიშნებოდეს. ასეთი დავთრები სამინისტროს სკოლებში უკვე დიდი ხანია შემოღებულია.

მ. ფარცხნელი

—✦✦—

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** გენერალ ჟუბერის წინააღმდეგობამ ისეთ ყუმბარის ხმარების შესახებ, რომელიც ლიდდიტით არის გატენილი, დიდი პოლემიკა ასტეხა გაზეთებში. ლონდონის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ლიდდიტი დიდათ არ განსხვავდება საფრანგეთის მელინიტისა, ნემეცების „რობურიტის" და იტალიელების თოფის წამლისაგანო, მაგრამ, ამავე დროს იგივე გაზეთები უარს არა ჰყოფენ, რომ ლიდდიტი მართლაც საშინლად მოქმედებს. სადაც ამ მასალით შეზავებული ყუმბარა დაეცემა, საკმარისია მხოლოდ ის ძალა, რასაც მისი გახეთქა გამოიწვევს, რომ ყველა სულდგმულს მის გარშემო სიცოცხლე მოესპოს. პირველად როცა ლიდდიტის ძლიერება უნდა გამოეცადნათ, ერთმა გასროლილმა ყუმბარამ მინდორში, სადაც 100 ცხვარი ბალახს სძოვდა. იქვე დახოცა თურმე 80 სული, მაგრამ ისე, რომ დახოცილებს ერთი ჭრილობაც არ აღმოაჩნდა. ომდურმანში, ბრძოლის შემდეგ იპოვნეს ათი დახოცილი დერვიში, რომლებიც ნაწილ-ნაწილად ქცეულიყვნენ და ერთმანეთში იყვნენ არეული. აღმოჩნდა, რომ ასეთი უბედურება მოეხდინა ლიდდიტით გატენილ ყუმბარას გახეთქას და არა ყუმბარის ნახეთქებს.

ბურები დიდის კაცთმოყვარეობით ეპყრობიან თურმე დაჭრილ და ტყვედ წაყვანილ ინგლისელებს. გაზეთ „Daily-mail"-ის სამხედრო კორესპონდენტი იუწყება, რომ ბურები ერთნაირად კარგად ექცევიან ყველა ტყვეს და ამ შემთხვევაში ისინი დიდი ქების ღირსნი არიანო. ბურებმა მოუტანეს დაჭრილებს წყალი, მისცეს საბანი და ყოველ მხრით მზრუნველობა აღმოუჩინეს მათო. ზოგიერთებმა სთხოვეს ინგლისის ჯარის კაცებს გამარჯვების სამახსოვროდ თქვენი მოქარგული ქამრები გვაჩუქეთო, მაგრამ როცა პასუხად მიიღეს, რომ ამ ქამრებში ფულები გვაქვსო თხოვნას მაშინვე თავი დაანებესო. რამდენიმე დაჭრილ ინგლისელს ფულები დაჰკარდათ მიწას, და ბურებმა ეს ფულები აიღეს და პატრონებს მიუტანესო. კორესპონდენტის სიტყვით, ერთს კაცს დაუწყია ხელების ფათური ინგლისის სამგზავრო საავადმყოფოს ქაღალდებში, მაგრამ იმას სხვები მიჰვარდნიან მაშინვე და ქაღალდებისათვის ხელი გაუშვებინებიათ.

— გაზეთებში მოყვანილია ერთი ინგლისელი პოლკოვნიკის სიტყვები, რომელსაც სამხრეთ აფრიკაში უმსახურნია და ბურებს კარგად იცნობს თურმე. აი რა უთქვამს მას:

„ჩვეულებისამებრ, ჩვენმა გენერლებმა ყურადღება არ მიაქციეს მტრის ძლიერებას და არ სჯეროდათ, რომ ბურები ამდენს ჯარს გამოიყვანდნენ და ასეთს სამხედრო ნიჭს გამოიჩენდნენ. მართალია, ბურების მხედრობა შესდგება გაუწვრთნელ გლეხებისაგან, მაგრამ იმათ შთამომავლობით გადმოცემულ აქვთ პარტიზანული ომის უნარი. როცა ბურებს გასაჭირი მიადგებათ მათზედ უფრო ძლიერი მტრისაგან, უფროსის უბრძანებლად პირს იბრუნებენ და გარბიან. ვინც მათ არ იცნობს, ასე ეგონებათ, რომ ისინი დამარცხდნენ და უგზო-უკვლოდ აქეთ-იქით გაიქცნენო, მაგრამ ნამდვილად-კი ისინი მტერს არ ჰკარგვენ და მაშინვე მოუბრუნდებიან, როცა მოწინააღმდეგე გაუფრთხილებლად უკან გამოედევნება მათ მათზედ უფრო სუსტი ჯარით. სულით ეცემიან ბურები მხოლოდ ძლიერის არტილერიის გავლენით, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც სავსებით არ ივანტებიან, მხოლოდ შორდებიან იმ რაიონს, სადაც ზარბაზნის ყუმბარა მოქმედებს, რათა უფრო მოხერხებული ადგილი მონახონ, სადაც მტერი ვერ მიუდგებათ და საიდგნაც თითონ კი ადვილად მოახერხებენ მტერს თავს დაესხანო. ბურების უკან გადგენება დიდს მანძილზედ ისეთი საშიშია, როგორც დაჭრილი ვეფხის დევნა გაუტენელის თოფით. მათი მხედართ მთავრები მშვილდის მსგავსად შემოარტყმენ მტერს ჯარს და სცდილობენ მტერი გაიტყუონ შუა გულ ჯარისაკენ. ეს თუ მოახერხეს მოტყუილებით უკან დახევით, ორივე მხარე, ე. ი. თავსა და ბოლოში მდგომი ჯარი, რომელიც აქამდის მიმალული იყო, უცებ დაეტაკება მტერს და ამავე დროს შუაგულის ჯარი მაზედ იერიშს მიიტანს. ბურებს ჩვეულებად აქვთ მტრის სუსტი მხარე იპოვონ, გზა მოუჭრან მას და უმთავრეს ძალას მოაშორონო".

## დამაკვირდი

დედაკაცს ერთად-ერთი საშუალება აქვს ჩვენის გაბედნიერებისა და ათასი —ჩვენის გაუბედურებისა.

ჰეინე

* * *

დედაკაცი წყარო ყოველის ბოროტებისა.

სოკრატი

* * *

ყოველ გვარ უფლება მოკლებულ იმაძღრეს მშლე თავისუფლება სჯობია.

გ. დ—შვილი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

რამდენისამე დღის წინად მადრიდში გარდაიცვალა ანტონიო ლილლო, 111 წლის მოხუცებული ქალი. ამ ქალს ცხრა შვილი ჰყვანდა, 24 შვილის-შვილი, და ორჯელ თუ სამჯელ ამაზედ მეტი შვილის-შვილის-შვილი. უკანასკნელი შვილი ლილლოს მაშინ გაუჩნდა, როდესაც 58 წლისა იყო. დღემდის ცოცხალია ანტონიოს ძმა—101 წლის კაცი, და და—103 წლის ქალი. 99 წლამდე ანტონიო კითხულობდა და ჰკერავდა უსათვალეებოთ; ამ ჟამად ცოცხალია იმის ქალი, 82 წლის მოხუცი.

* * *

ინგლისურს გაზეთებში დაბეჭდილია ანდერძი ამერიკელის მილიონერის ვანდერბილტისა. მთელი ქონება ამ მდიდრისა 140 მილიონ მანეთს შეადგენდა. აქედგან ყველაზედ ბევრი ვანდერბილდტმა მეორე შვილს ალფრედს უანდერძა, სახელდობრ 80 მილიონი მანეთი. უფროსმა შვილმა მიიღო მხოლოდ $2^1/_2$ მილიონი, მაგრამ ალფრედმა 12 მილიონი აჩუქა ძმას. დანარჩენ ორს შვილს ვანდერბილდტმა დაუტოვა თითოს 14 მილიონი. ქვრივს ვანდერბილდტისას დარჩა 4 მილიონი. ამას გარდა შვილებმა წელიწადში უნდა აძლიონ 500 ათასი მანეთი.

* * *

ერთხელ თავადმა მეტტერნიხმა შესანიშნავ რომანისტსა და დრამატურგს ალექსანდრე დიუმას ავტოგრაფი (ხელნაწერი) სთხოვა თურმე. დიუმას შემდეგი დაუწერია და გაუგზავნია მეტტერნიხისთვის: „მივიღე თავად მეტტერნიხისაგან 25 ბოთლი ძველი, საუკეთესო ღვინო, თავისავე მამულებისა". ამის მიღებისათანავე მეტტერნიხს, რასაკვირველია, გაუგზავნია 25 ბოთლი ღვინო. ასეთსავე ისტორიას მოგვითხრობენ მწერალ ქალის ჟიპისა (ფსევდონიმია) და ბარონ როდშილდის შესახებ. ერთ საქველმოქმედო ბაზარში ჟიპი ჰყიდდა თურმე სხვა და-სხვა ნივთებს. როდესაც ბარონ როდშილდი მისულა, ჟიპის უთხოვნია, იყიდეთ რამეო.—ჩემთვის შესაფერი არაფერი გაქვთ,—უთქვამს ბარონს,—რომ გქონდეთ, თქვენს ავტოგრაფს ვიყიდდიო. „ინებეთ, ბარონ"!—წამოუძახნია ჟიპის, აუღია ქაღალდი და კალამი და დაუწერია: „მივიღე ბარონ როდშილდისაგან საქველმოქმედო ბაზრის სასარგებლოდ 2000 ფრანკი. ჟიპი". როდშილდს სიცილით ამოუღია 2000 ფრანკი და გადაუცია.

* * *

წარსულ კვირას ციურიხის ერთს სასამართლოში ვექილად გამოსულა ერთი ქალი ვარად მაკენროტი. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ქალს შვეიცარიაში ვექილობა ეწყოს.

* * *

რუსული გაზეთები შემდეგს ამბავს იუწყებიან: ამას წინად ვარშავაში სადღაც გაქრა ქვრივის ო.—ს 13 წლის ბავშვი, რომელიც ერთს ადგილობრივს სასწავლებელში სწავლობდა. დაუწყეს ბავშვს ძებნა, და მხოლოდ მეორე დღეს იპოვნეს მინდორში შიერ-მწყურვალი და სიცივისაგან ნახევრად გაყინული. აღმოჩნდა, რომ ბავშვს განუზრახავს თავისუფალ მეომართა შეკრება და იმითთან ერთად ტრანსვაალში წასვლა ბურების საშველად. ამხანაგები შეუკრებია კიდეც და პირობა დაუდვიათ, [illegible] ვის მინდორში შევიყარნეთ და იქიდგან პირდაპირ ტრანსვაალში წავიდეთო; მაგრამ დანიშნულ დღეს ამხანაგებს უღალატნიათ და არ შეკრებილან. ცამეტის წლის ბავშვი ისე გაუტაცნია ტრანსვაალში წასვლის სურვილს, რომ სრულიად დაუხარჯნია დედისაგან მიღებული ფული, რომელიც სასწავლებელში უნდა შეეტანა სწავლის ფასად. ამ ფულით სურსათი და სხვა-და-სხვა „იარაღი" უყიდნია თავისუფალ მეომართა მეთაურს.

## უკვდავთა ღაღადებანი

დ. ლოცვა წმ. პეტრე (მურვანოზ) ქართველისა.

ჰ ნეტარო და წმიდაო მამაო ჩუენო, შენ დღეს მოჰკუეთდ და შემდგომად მცირედისა მეცა მოსიკუდიდ ვარ, არამედ აწ ნუ დასცხრები მეოხებად ჩუენთვის წინაშე წმიდისა სამებისა.

მისივე დარიგება: შვილნო ჩემნო და ძმანო და საყუარელნო ქრისტეს ღუთისანო, ყოვლისა პირველად დაიცევით წმიდა და მართალი სარწმუნოება წმიდისა სამებისა. მოიკუეთ სასოება, სიყუარული, სიმდაბლე, სულგრძელება, მოთმინება და სახიერება; შეიტკბეთ გლახაკთმოწყალება, სტუმართ მოყუარება, და უცხოთა შეიწყნარებდით და განუწესებდით; ყოვლადვე შურებოდით შრომასა სულიერსა და საღმრთოსა. ყოვლადვე ბაძევდით სადმრთოთა და წმიდათა კაცთა. ყოველთა კეთილნი საქმენი და სათნოებანი წმიდანი მოიგენით, წინამძღუართ დაემორჩილენით, ვითარცა ღმრთისა ანგელოზთა, და სიტყუათა მათთა დაამსხუევდით, ვითარცა პირისაგან ღმრთისა გამოსრულთა.

მურვანოზი იყო მეფე ბაკურის (379—393 წ.) შვილი. ბერძენთა და სპარსთ შორის მტრობა ჩამოვარდა. რომ ქართველები სპარსებს არ მიმხრობოდნენ, იმპერატორმა თეოდოსი მცირემ ჩვენი მეფისაგან მზევალი ითხოვა. მეფემაც გაუგზავნა 12 წლის მურვანოზი და მას გააყოლა სხვა სეფე წულებიც. მურვანოზმა ისწავლა ბერძული ენა და ფრიად გამეცნიერდა. კონსტანტინეპოლიდგან იგი ვინმე იოვანესთან ერთად წავიდა იერუსალიმს და იქ მრავალი იღვაწა ქართველთა მლოცავთა სანუგეშოდ. თვისის სიბრძნითა, წმიდა ცხოვრებითა და სასწაულებით მიიქცია საერთო ყურადღება. მას ჰსურდა მყუდროდ ეცხოვრა სადმე უდაბნოში, გარნა აიძულეს დ მაიუმის ეპისკოპოსად დანიშნეს. მაიუმელები ეუბნებოდნენ პატრიარქს: „ჩვენ სხვა ეპისკოპოსი არ გვინდა, თუ არა წმ. პეტრე (მურვანოზის მონოზნობის სახელია) ქართველი." პეტრეს ცხორება აღწერა მისმავე მოწაფე ზაქარიამ ასურთა ენაზედ, მერე ითარგმნა ქართულადაც (იხ. ვრცლად ნ. მარრის თხზულება: „Житіе Петра Ивера царевича-подвижника и епископа майумскаго V вѣка" (Православ. палест. сборникъ, т. XII вып. 2)

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო რუსული წიგნი „Грузинскія Обители внѣ грузіи" —მ. გ. ჯანაშვილისა. წიგნი მშვენივრად არის გამოცემული, შეიცავს 48 გვერდს და ღირს 25 კაპეიკად. ამ წიგნის შინაარსს შემდეგ გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ნოემბერი

**ბრისტოლი.** „რეიტერის სააგენტო". ბიგსმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა, რომ ჩქარა დადგება ის დრო, როცა ბედი სრულებით უმუხთლებს მტერსაო. ომმაო,—განაგრძო ორატორმა,—ყველა კონვენცია შესცვალაო; ინგლისის მოვალეობაა დაარსოს კარგი და სამართლიანი მთავრობა, თანასწორს უფლებაზედ დამყარებულიო. ინგლისმა უნდა მიანიჭოს სამხრეთ აფრიკას, რამდენადაც შესაძლებელი იქმნება, უფრო სრული თვითმართველობაო.

**მასერა.** „რეიტერის სააგენტო". როგორც ნიშნები არის, ბაზუტების წინამძღოლი იოელი ბურებისაკენ გადადის; სხვები არ ჰღალატობენ ინგლისს.

**ტული.** „რეიტერის სააგენტო". ბურებმა მიატოვეს ტრანსვაალის საზღვრები ჩრდილოეთის მხრით, დასტოვეს-რა პონტედრიფტეში ერთი რაზმი.

**ფრანკფურტი მაინზედ.** „ვოლფის სააგენტო". გენერალ ჟუბერის მთავარ სადგურიდგან „Frankfurter General Anzreiger"-მა კერძო წერილი მიიღო, 9 ოქტომბერს დაწერილი, გლენკესთან ბრძოლის შესახებ. ამ წერილიდგანა სჩანს, რომ 8 ოქტომბერს, გლენკეს ქვემოთ, ლუკა მაიერის უფროსობით, ბურებს მოჰკლომიათ 10 კაცი, დასჭრიათ 27. ინგლისელების მხრით მომკვდარა 39 კაცი, დაჭრილა 171, გარდა ამისა, ასი გუსარი ტყვედ იქმნა წაყვანილი. ბრძოლამ 8 საათს გასტანა; ბურებს ჰყავდათ ბრძოლაში 1000 კაცი და ერთი ბატარეია. ინგლისელებს—4000 კაცი და ორი ბატარეია. როცა ბურების მეორე რაზმი მოვიდა ბრაემუსის უფროსობით, ინგლისელებმა დენდისაკენ დაიწიეს.

**პარიჟი.** მელინმა პროგრესისტ-დეპუტატთა დასის კრებაზედ დილით სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ საჭირო არის სრული თანხმობა პროგრესიულის დასისაო. თანხმობა ეხლა უფრო ადვილია, როცა დრეიფუსის საქმე გათავებულია და არას შემთხვევაში არ შეიძლება მისი განახლება, მიტომ რომ საერთო წინააღმდეგობას გამოიწვევსო; დასი წინანდებურად დაიცავს თავისუფლების და მშვიდობიანობის პოლიტიკასო.

**რომი.** მეფემ პარლამენტი გახსნა სეფე სიტყვით, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი მოიხსენია: „იტალიას, სწამს-რა თავისი მომავალი, ყველა სახელმწიფოსთან კარგი განწყობილება აქვს. არავისაგან არავითარი შიში არ მოელის ჩვენს საგარეო პოლიტიკას, რომელიც, შინაურს პოლიტიკასთან ერთად, ხელს შეუწყობს პროგრესს და ქვეყნის ეკონომიურ კეთილ-დღეობასაო".

**პარიჟი.** პალატა. დიდი მოძრაობაა. დეშანელმა წაიკითხა მრავალი შეკითხვა; ვალდეკ-რუსომ მოითხოვა, რომ ყველა შეკითხვა მთავრობის საზოგადო პოლიტიკის შესახებ ერთად იქმნას შეერთებული და ის დაუყოვნებლივ განიხილოს პალატამაო. (მოწონების ხმები ისმის). კოშენი (მემარჯვენე) ტრიბუნაზედ ავიდა.

სხდომის შემდეგ სენატი დაიშალა შაბათამდე, რათა ხვალიდგან უმაღლესი სასამართლოთი სხდომები განაგრძოს.

3 ნოემბერი.

**პარიჟი.** პალატა. კოშენმა უსაყვედურა მთავრობას, რომ მილიერანი აირჩიეთ თანამშრომლად და სოციალისტებს გზა გაუხსენით მთავრობისაკენო. მემარჯვენეთა წევრმა გრანმეზონმა გაჰკიცხა გალიფე, რომ მხედრობის დაფარვა ვერ მოახერხეო და იმ ღონისძიებათათვის, რომელიც გენერლების წინააღმდეგ იქმნა ხმარებულ. ნაციონალისტმა ლაზიმ ენერგიულად გაჰკიცხა ღონისძიებანი, ზოგიერთ აფიცრების წინააღმდეგ ხმარებული, და დასძინა, რომ აფიცრებს სრული უფლება ჰქონდათ ეთქვათ, რომ ეხლანდელი მთავრობა სამარცხვინო რამ არისო. ორატორმა, განაგრძო-რა, სთქვა, რომ აი ორი წელიწადი სრულდება, რაც მხედრობას ჰკიცხავენ და მფარველიკი არავინა ჰყავსო. როცა ასეთი მთავრობა არის, დისციპლინის დარღვევა მოვალეობას შეადგენსო. გალიფე ტრიბუნაზედ ავიდა. მინისტრმა წინააღმდეგობა განაცხადა ლაზის სიტყვების შესახებ და სთქვა, რომ მხედრობას უფლება არ აქვს ილაპარაკოსო. არც ერთი ჩემი სიტყვა, არც ერთი ჩემ მიერ მიღებული ღონისძიება სანანურად არ მიმაჩნიაო. გენერალი ნეგრიე დავსაჯე-რა, ამით მე ჩემი მოვალეობა შევასრულეო. კასანიაკი ავიდა ტრიბუნაზედ და სთქვა, რომ დრეიფუსისათვის სასჯელის მიტევება მხედრობის შეურაცხება არისო. ორატორმა უსაყვედურა მთავრობას, რომ მხედრობას მფარველობას არ უწევთო, რომელსაც ცილსა სწამებენ და შეურაცხებას აყენებენო. ვივიანმა განაცხადა, რომ სოციალისტები მზათ არიან მთავრობას მხარი მისცენო. შემდეგი სხდომა მოხდება ხუთშაბათს.

**ქაირი.** „რეიტერის სააგენტო". გენერალმა კიჩნერმა, გაიგო-რა, რომ ხალიფი, რომელიც ამას წინად კორდოფანში წავიდა, ამ ჟამად დუემეში იმყოფებაო, თეთრს ნილოსზედ, ხართუმიდგან 130 მილის მანძილზედ სამხრეთისაკენ, გარდასწყვიტა ხართუმში წასვლა დღესვე, და არა პარასკევს.

**ლონდონი.** მეხუთე დივიზიის უფროსად, რომელიც ეხლა სალაშქროთ ემზადება, დანიშნულია გენერალი გრალდ უარსენი, რომელმაც გამ ცდილებით იცის—როგორ უნდა ომი სამხრეთ აფრიკაში.

საბარგე გემი „Britanie" კაპშტადში მოვიდა. ამ ნაირად ხუთშაბათიდგან კაპში მივიდა 12 საბარგე გემი 15,000 მაშველი ჯარის კაცით.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ ბ-ნს სილოვან უჯმაჯურიძეს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს ჯვარცხმის ერთ-კლასიან სამრევლო სკოლას შემოსწირა ერთი თუმანი.

ჯვარცხმის სამრევლო სკოლის მასწავლებელი სარდიონ მგალობლიშვილი.

—

დიდს მადლობას ვუცხადებ იასონ დიმიტრის ძე დეკანოზისძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ სასწავლებელს ზარა, ღირებული 7 მანეთად 20 კაპ. და კორნილიოზ პორფირეს ძეს ჯულელს, რომელმაც გადმომცა სკოლის სასარგებლოდ 5 მან. 80 კაპ., შეკრებილი მის მიერ ს. ხვირში გამართულის წარმოდგენით.

ხვირის ორკლასიანი სასწავლებლის ზედამხედველი [illegible]


## განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




### ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

### „კვერცხის რძე"

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია: დიდი ქილა —2 მან., პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერივნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გავუგზავნებათ. (100—150—34)

წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

ჩართული ანბანი, გრ. ტატიშვილისა 1 მ.

კანვაზედ საკერი ანბანი მისივე 40 კ.

საყმაწვილო მოთხრობანი, ეკ. გაბაშვილისა 30 კ.

პატარა ლორდის თავ-გადასავალი 30 კ.

ვეფხვის ტყაოსანი სურათებით 30 კ.

ნიკოლოზ ნიკოლაძე 20 კ.

გლეხი კაცის ისტორია I, II, III და IV ნაწილი 2 მ. 40 კ.

კორიოლანოს შექსპირისა, თარგმანი ივ. მაჩაბლისა 30 კ.

ანტონიოს და კლეოპატრა, მისი თარგმანი 30.

მოლიპულ გზაზე ან. ერისთავისა 1 მ.

თავადის ქალი ურბანოვსკისა, თარ. ნ. ავალიშვილისა, 60 კ.

ვეფხვის ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყრმათათვის გ. იოსელიანისა 25 კ.

სიტყვიერების თეორია 1 მან.

ამოდის ნათელი, ვაჟა-ფშაველასი 15 კაპ.

ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი 40 კაპ.

Письма о грузіи Исарлова 80 კ.

Телавскій уѣздъ Хаханова 1 მ. 25 კაპ.

მელის წიგნი ანუ იგავ არაკების კრებული ვარდანისი 40 კაპ.

ანტონ ჰყონდიდელის ქადაგებანი 1 მან. 50 კაპ.

თხზულებანი პუშკინისა 50 კაპ.